



**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის #031/18<sup>1</sup>  
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა**

*ზურა ფარქოსაძე (სტუდენტი)*

**ფაქტები**

კლიენტსა და ადვოკატ მ.ფ-ს შორის შეთანხმების შესაბამისად, საადვოკატო მომსახურება მოიცავდა ორი ბრალდებულის დაცვას გამოძიების ეტაპზე და პირველი ინსტანციის სასამართლოში. მომსახურების საფასურად ჯამში განისაზღვრა 1000 ლარი, რომელიც ადვოკატს შეთანხმების დღესვე გადაეცა უნაღდო ანგარიშწორების გზით. საქმე ეხებოდა ერთ-ერთ აქციაზე ბრალდებულების მიერ არასრულწლოვნებზე შესაძლო ძალადობის ფაქტს. კლიენტის თქმით, მან და მისმა ძმამ აქციაზე მიიღეს დაზიანებები, რაც ექსპერტმაც დაადასტურა. კლიენტის პრეტენზიები ადვოკატ მ.ფ-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა არ აცნობა, რომ არ იყო სპეციალიზირებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში; არ დასწრებია ყველა სასამართლო სხდომას, სადაც დაშვებული იყო მისი მონაწილეობა; ადვოკატი ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე ნასვამი გამოცხადდა; ვერ უზრუნველყო გამამართლებელი განაჩენის დაყენება; არ აწარმოა საქმე კლიენტის, როგორც დაზარალებული მხარის საჩივრის საფუძველზე.

**პროცესუალური ისტორია**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა ადვოკატ მ.ფ-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და ადვოკატისათვის მომსახურების საზღაურის სახით გადახდილი თანხის სრულად დაბრუნების მოთხოვნით.

**სამართლებრივი შეფასება**

საპროცესო კოლეგიის განმარტებით, ადვოკატი ვალდებულია, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, მოიქცეს წინდახედულად, განსაზღვროს კლიენტის ინტერესები, ობიექტურად შეაფასოს თავისი კვალიფიკაციის თანხვედრა კლიენტის ინტერესებთან და მხოლოდ ამის შემდეგ განახორციელოს საადვოკატო მომსახურება. საქმის მიმდინარეობისას ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია კონკრეტული სპეციალიზაციის არქონის თაობაზე და განუმარტოს მასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, არასრულწლოვნის საქმეს აწარმოებს ამ სფეროში სპეციალიზირებული ადვოკატი. მხარეთა ახსნა-განმარტებებით, ასევე მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად დადგინდა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში სპეციალიზაცია ჰქონდა მეორე ადვოკატს - მ. გ.-ს, რომელიც მ. ფ.-სთან ერთად, შეთანხმების დღიდან იცავდა კლიენტსა ინტერესებს. იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულება ორ სხვადასხვა ადვოკატთან გაფორმდა ერთი და იგივე საქმეზე, კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიიჩნია, რომ კლიენტისათვის ეს ფაქტი ცნობილი და მისაღები იყო. შესაბამისად, არ დადგინდა ადვოკატის მიერ კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და კვალიფიციური მომსახურების ვალდებულების დარღვევა.

საქმის მასალებით დადგინდა, რომ ადვოკატი კლიენტისა და მისი ძმის ინტერესებს იცავდა როგორც გამოძიების ეტაპზე, ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოში. განაჩენის გამოტანისას ბრალი გადაკვალიფიცირდა და ბრალდებულებს დაეკისრა ნაკლებად მძიმე სასჯელი. ადვოკატი

<sup>1</sup> [https://gba.ge/pdf/5cb5eb21a2a0f.pdf/031\\_18,%202021.09.18,%20ar%20aghdzvra.pdf](https://gba.ge/pdf/5cb5eb21a2a0f.pdf/031_18,%202021.09.18,%20ar%20aghdzvra.pdf)

მ. ფ. მოქმედებდა კეთილსინდისიერად და კლინტების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, ის ესწრებოდა სასამართლო სხდომებს და მონაწილეობას იღებდა საქმის განხილვაში. კლიენტის პრეტენზიის შესახებ, რაც ეხება იმას, რომ ადვოკატი არ დასწრებია ყველა სასამართლოს სხდომას, რომელიც სრულწლოვანი დაზარალებულის ნაწილში ჩატარდა, არ დგინდება სასამართლო სხდომის ოქმებით. რაც შეეხება ადვოკატის ნასვამ მდგომარეობაში სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას, კოლეგია აღნიშნავს, რომ „სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე“ (საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 85.1). სხდომის თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებას პროცესის მონაწილის მიერ სხდომის წესრიგის დარღვევის თაობაზე, რასაც ადვოკატის მიმართ ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, კოლეგიის მიერ ვერ შეფასდა რამდენად იმყოფებოდა ადვოკატი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ.

კლიენტის პრეტენზიაზე თუ რატომ ჰქონდათ მათ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეში მხოლოდ ბრალდებულის სტატუსი და არ აღიძრა დევნა მათი საჩივრის საფუძველზე, კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტს შორის შეთანხმება ითვალისწინებდა ადვოკატის მიერ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულების დაცვას. შესაბამისად, კლიენტის მოთხოვნა ამ ნაწილში უსაფუძვლოა. ამასთანავე, მხარეთა ურთიერთსაწინააღმდეგო ახსნა-განმარტებების და მტკიცებულებათა არარსებობის გამო, ვერ დადგინდა ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გამამართლებელი განაჩენის დადგომის დაპირება და ამით გარანტიის მიცემის აკრძალვის ვალდებულების დარღვევა.

ადვოკატისათვის გადახდილი მომსახურების საზღაურის დაბრუნების თაობაზე მსჯელობა კომისიის უფლებამოსილებაში შედის აპეკ-ის 8.15 მუხლის საფუძველზე ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას, როდესაც ადვოკატს დასრულებული არ აქვს მომსახურება და წარმოეშობა გადაცემული „გამოუმუშავებელი“ ფულადი სახსრების კლიენტისთვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულებები. იმ შემთხვევაში თუ ადვოკატმა დაასრულა კლიენტის მომსახურება, ხოლო კლიენტი ეთიკის კომისიაში მომსახურების ხარისხიდან ან დამდგარი შედეგიდან გამომდინარე აყენებს ადვოკატის მიერ მომსახურებისთვის მიღებული საზღაურის მისთვის დაბრუნების მოთხოვნას, აღნიშნული სცდება ეთიკის კომისიის კომპეტენციას და წარმოადგენს სასამართლოს წესით განსახილველ საკითხს. ამასთან, საქმის კლიენტისთვის სასურველი შედეგით დაუსრულებლობა არ წარმოშობს ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებას დაუბრუნოს მას შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ მიღებული თანხა. ადვოკატმა მომსახურების საზღაური აიღო შესასრულებელი საპროცესო მოქმედებების სანაცვლოდ და ხელშეკრულების მოქმედება დასრულდა პირველი ინსტანციის განაჩენით. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ ვერ იმსჯელა ადვოკატისთვის გადაცემული საზღაურის კლიენტისთვის დაბრუნების მოთხოვნაზე.

## **დასკვნა**

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, არ აღიძრა დისციპლინური დევნა, რადგან არ არსებობდა ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.